თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TELAVI MUNICIPALITY COUNCIL

განკარგულება:**გ-27. 2724179001**
თარიღი:**27/06/2024**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 38

27 ივნისი 2024 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 მარტის N40 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 106^1 მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად,

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება **თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 მარტის N40 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე -** ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებასთან დაკავშირებით.

2. დაევალოს საკრებულოს აპარატს გამოაქვეყნოს ცნობა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ.

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში და ფრაქციებში **თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 მარტის N40 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე** - ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა განხორციელდეს 2024 წლის 23 ივლისამდე.

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 მარტის N40 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის განაკვეთების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე -** დადგენილების პროექტი საკრებულოს წარედგინოს დასამტკიცებლად - 2024 წლის 01 აგვისტომდე.

5. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

6. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის N41).

თენგიზი მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

16 EREKLE II STR. 2200, TELAVI, GEORGIA TEL: 0(350)273900,
E-MAIL:TELAVIMUNICIPALITYCOUNCIL@GMAIL.COM